აღნიშნულიდან გამომდინარე, ალექსანდრე საჯაიას, დავით ბეთანელის, თორნიკე ფოცხიშვილის, ბესიკ აფხაიძის, თენგიზ ლომიტაშვილის და ნინო ჩუბინიძის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებენ ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

1. **ალექსანდრე ვლადიმერის ძე საჯაია** 1994 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის

დღის სწავლების ფასიანი განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/489, 07.09.1994).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №8, 09.07.1998) გადაწყვეტილებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ალექსანდრე საჯაიას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, ხოლო თსუ რექტორის ბრძანებით (№4/539, 20.07.1998) მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

1998 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ბაკალავრის დიპლომი წარჩინებით BH №00325 (სარეგისტრაციო №01/712) რეგისტრირებულია ალექსანდრე საჯაიას სახელზე, რომელშიც დაფიქსირებულია შემდეგი ჩანაწერი: „1994 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 1998 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ალექსანდრე საჯაიას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ალექსანდრე საჯაიას სახელზე გაცემულ დიპლომში (BHN#00325, სარეგისტრაციო №01/712) მითითებული ბაკალავრის ხარისხი და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/539, 20.07.1998) მინიჭებული ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (ფასიანი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმთან (№8, 09.07.1998). თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე მიზანშეწონილია, რომ ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანების (№4/539, 20.07.1998) შესაბამისად უნდა შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (ფასიანი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი (№8, 9.07.1998) და ოქმით მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ ხარისხის ნაცვლად მინიჭებული უნდა იქნეს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“ სპეციალობით „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“.

2. დავით ზურაბის ძე ჩაგანავა (შემდგომში ბეთანელი) 1998 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გადმოყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის მეორე კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით (ბრძანება №4/626, §7, 07.09.1998 წ.).

ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №3, 29.06.2001) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანების (№4/588, 09.07.2001) საფუძველზე დღის განყოფილების კურსდამთავრებულ დავით ჩაგანავას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი სპეციალობით აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი.

2001 წელს დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN#06568, სარეგისტრაციო №01/508 რეგისტრირებულია დავით ჩაგანავას სახელზე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 22 ოქტომბრის №1352/01-04 ბრძანებით:

1. შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ დავით ჩაგანავას სახელზე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (შექმნილ) ყველა ოფიციალურ დოკუმენტში გვარის შეცვლის გამო და დავით ჩაგანავას მიმართ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) ყველა არსებული ოფიციალური დოკუმენტი გამოცემულად ჩაითვალოს დავით ბეთანელის მიმართ და დავით ბეთანელი მიჩნეული უნდა იქნეს ამ დოკუმენტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილედ.
2. გაუქმებულად გამოცხადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ დავით ჩაგანავას სახელზე გაცემული ბაკალავრიატის დიპლომი B №06568 (სარეგისტრაციო №01/508) გვარის შეცვლის გამო;
3. უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელშიც დავით ჩაგანავას ნაცვლად მითითებული იქნება დავით ბეთანელი.

2001 წელს დავით ჩაგანავას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებულია, რომ „1997 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის ივნისის გადაწყვეტილებით დავით ჩაგანავას მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია“, ხოლო დიპლომის დანართში - „დავით ჩაგანავა, დაბადებული 1978 წელს, 1998 წლიდან 2001 წლამდე სწავლობდა (ჩარიცხულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1997 წ.) და 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით - აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დავით ჩაგანავას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სპეციალობა არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№3, 29.06.2001) და თსუ

რექტორის ბრძანებით (№4/588, 09.07.2001) მინიჭებულ ხარისხთან და სპეციალობასთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კონსულტაციისთვის მიმართა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პასუხი წერილობით გვაცნობა: „დავით ბეთანელს (გვარის შეცვლამდე - დავით ჩაგანავა) მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი“.

3. **თორნიკე გიას ძე ფოცხიშვილი** 1996 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/615, 06.08.1996).

1999 წლის 14 სექტემბრიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით (ვენის ეკონომიკურ უნივერსიტეტში) თორნიკე ფოცხიშვილი ამოირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების IV კურსის სტუდენტთა სიიდან და ნება დაერთო დაბრუნებისთანავე სემესტრული საგნების ჩაბარების (ბრძ. 4/1003, 30.09.1999). 2000 წელს იგი აღდგენილი და გადაყვანილი იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების მაკროეკონომიკის (სპეც.ჯგუფი) სპეციალობის IV კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით (ბრძანება №4/1002, 19.10.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №3, 29.06.2001) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1044, 05.10.2001) ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების მაკროეკონომიკის (სპეცჯგუფი) სპეციალობის კურსდამთავრებულ თორნიკე ფოცხიშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

თორნიკე ფოცხიშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის დანართში (BK №01843, სარეგისტრაციო №01/392) მითითებულია, რომ „**თორნიკე ფოცხიშვილი, დაბადებული 1979 წელს, 1996 წლიდან 2001 წლამდე სწავლობდა და 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობით „მაკროეკონომიკა“.**

თორნიკე ფოცხიშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის (სპეცჯგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (№3, 29.06.2001) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1044, 05.10.2001) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კონსულტაციისთვის მიმართა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პასუხი წერილობით გვაცნობა: „თორნიკე ფოცხიშვილს მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „მაკროეკონომიკა“.

4. **ბესიკ თენგიზის ძე აფხაიძის** პირად საქმეში არსებული სტუდენტის სასწავლო ბარათიდან და თსუ არქივიდან წარმოდგენილ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ იგი თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში (თდუ) ჩაირიცხა 1991 წელს (ბრძანება №1, 04.10.1991 წ.). ბრძანების თარიღი და ნომერი მხოლოდ სტუდენტის სასწავლო ბარათზეა დაფიქსირებული.

1997 წელს თდუ-ს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი ბესიკ თენგიზის ძე აფხაიძე გადაყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის განყოფილების ფასიანი სექტორის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის მესამე კურსზე (ბრძანება №4/874, 25.09.1997). 1998 წელს ავადმყოფობის გამო დატოვებული იქნა III კურსზე (ბრძანება №4/480, §1, 13.07.1998). 1999 წელს განმეორებითი სწავლებისთვის კვლავ იქნა დატოვებული კურსზე (ბრძანება №4/17, 13.01.1999). 2000 წელს III კურსის სტუდენტი ბესიკ აფხაიძე ამოირიცხა სტუდენტთა სიიდან, რომელიც აკადემიური დავალიანების გამო ორჯერ იყო კურსზე დატოვებული და არ გამოცხადდა უნივერსიტეტში (ბრძანება №4/342, 11.04.2000).

2001 წელს ბესიკ თენგიზის ძე აფხაიძეს აღუდგა სტუდენტის სტატუსი და გადაყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფასიანი განყოფილების „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სპეციალობის III კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით, ამავე ფაკულტეტის მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობიდან (ბრძანება №4/403, 23.05.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტლებით (ოქმი №1, 19.06.2003) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1105, 24.09.2003) ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ბესიკ აფხაიძეს მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით.**

ბესიკ აფხაიძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის დანართში დაფიქსირებულია: „2003 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№1, 19.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/1105, 24.09.2003) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ითხოვს წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული ცნობარი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიხედვით - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კონსულტაციისთვის მიმართა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პასუხი წერილობით გვაცნობა: „ბესიკ აფხაიძეს მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „ფინანსები და საბანკო საქმე“.

5. **თენგიზ გურამის ძე ლომიტაშვილი** 1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/733, 31.08.1999).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №1, 30.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/845, 23.07.2003) ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ თენგიზ ლომიტაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებითი BHN#03019 (სარეგისტრაციო №01/524) რეგისტრირებულია თენგიზ ლომიტაშვილის სახელზე.

საარქივო ცნობიდან ჩანს, რომ 2003 წელს თენგიზ გურამის ძე ლომიტაშვილი ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის საბიუჯეტო სექტორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/1147, 29.09.2003).

ეკონომიკის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №4, 16.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/571, 29.06.2005) ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის საბიუჯეტო სექტორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ

თენგიზ ლომიტაშვილს მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი MN#000232 (სარეგისტრაციო №01/1591) რეგისტრირებულია თენგიზ ლომიტაშვილის სახელზე.

თსუ რექტორის 2015 წლის 15 სექტემბრის №1008/01-04 ბრძანების საფუძველზე:

1. უნდა გასწორდეს შეცდომა თსუ რექტორის 2005 წლის 29 ივნისის №4/571 ბრძანებაში თენგიზ ლომიტაშვილის ნაწილში სახელში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო და იგი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „10. ლომიტაშვილი თენგიზ“;
2. გაუქმებულად გამოცხადდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ თენგიზ ლომიტაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი (BH №03019, სარეგისტრაციო №01/524) და უნდა გაიცეს ბაკალავრის დიპლომის დუბლიკატი;
3. გაუქმებულად გამოცხადდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებულ თენგიზ ლომიტაშვილის სახელზე გაცემული მაგისტრის დიპლომი (M №000232, სარეგისტრაციო №01/1591) და დიპლომის დანართი და უნდა გაიცეს ახალი მაგისტრის დიპლომის დუბლიკატი და დიპლომის ახალი დანართი.

თენგიზ ლომიტაშვილის პირად საქმეში მოძიებული იქნა მის სახელზე არასრულად შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართის შავი პირი, რომელზეც არ არის დაფიქსირებული არც ხელმოწერები და არც უნივერსიტეტის ბეჭედი. იგი დამოწმებულია მხოლოდ თსუ-ს კანცელარიის ბეჭდით. აღნიშნულ დანართში მითითებულია შემდეგი: „თენგიზ ლომიტაშვილი, დაბადებული 22.06.1982, 1999 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე, 2003 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია.“

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№1, 30.06.2003) და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან (ბრძანება №4/845, 23.07.2003). თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა კონსულტაციისთვის მიმართა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პასუხი წერილობით გვაცნობა: „თენგიზ ლომიტაშვილს მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“.

6. ნინო ვაჟას ასული ჩუბინიძე 2001 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ეკონომიკური თეორიის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 02.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5, 08.06.2005) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 08.07.2005) ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ნინო ჩუბინიძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტი კვალიფიკაციით.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებითი (BH N000374, სარეგისტრაციო N01/2017) რეგისტრირებულია ნინო ჩუბინიძის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ნინო ჩუბინიძე 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ეკონომიკური თეორია. საატესტაციო კომისიის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ნინო ჩუბინიძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.

ნინო ჩუბინიძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№5, 8.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან (ბრძანება №4/611, 8.07.2005). თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ითხოვს წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე მიზანშეწონილია ნინო ჩუბინიძეს მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „ეკონომიკური თეორია“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

- 1.1 ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანების (№4/539, 20.07.1998) შესაბამისად უნდა შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (ფასიანი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელის სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №8, 09.07.1998) და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ალექსანდრე საჯაიას ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**;
- 1.2 ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (ფასიანი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (იხ. [ოქმი №8, 09.07.1998](#)) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

- 2.1 ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 29 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 9 ივლისის №4/588 ბრძანებით დღის განყოფილების კურსდამთავრებულ დავით ჩაგანავას (შემდგომში დავით ბეთანელი) ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** აღრიცხვა, ანალიზი აუდიტის სპეციალობით;
- 2.2 ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში და ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 29 ივნისი, 2001 წ. და თსუ რექტორის ბრძანება №4/588, 9.07.2001](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

- 3.1 ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის (სპეცგუფი) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 29 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 5 ოქტომბრის №4/1044 ბრძანებით საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ თორნიკე ფოცხიშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**;
- 3.2 ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში და ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის \(სპეცგუფი\) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 29 ივნისი, 2001 წ. და თსუ რექტორის ბრძანება №4/588, 09.07.2001](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

- 4.1 ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 24 სექტემბრის №4/1105 ბრძანებით დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულ ბესიკ აფხაიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- 4.2 ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში და ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 19 ივნისი, 2003 წ. და თსუ რექტორის ბრძანება №4/1105, 24.09.2003](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.
- 5.1 ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 30 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 23 ივლისის №4/845 ბრძანებით არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ თენგიზ ლომიტაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- 5.2 ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში და ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 30 ივნისი, 2003 წ. და თსუ რექტორის ბრძანება №4/845, 23.07.2003](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.
- 6.1 ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო 2005 წლის 8 ივნისის სხდომის შემაჯამებელი ოქმში (№5) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ნინო ჩუბინიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“ მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“;
- 6.2 ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში და ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკურ თეორიის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 8 ივნისი, 2005 წ. და თსუ რექტორის ბრძანება №4/611, 08.07.2005](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ყოფილი თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის (კოლეჯის) კომერციის ფაკულტეტის 1994 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. დათუნა იაშაღაშვილი) დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან შემოსული წერილის (MES 4 15 01051237 12.10.2015) საფუძველზე თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა 1994 წელს თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის (კოლეჯი) სამრეწველო საქონლის კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობის კურსდამთავრებულ **დათუნა იაშაღაშვილის** სახელზე გაცემული დიპლომის ნამდვილობის დადასტურება, სახელმწიფო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნით ოქმსა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ რექტორის ბრძანებაში დაფიქსირებული განსახვავებული თარიღების შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე, ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად აუცილებელია დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა, რომლის საფუძველზეც კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ დათუნა შენგელის ძე იაშაღაშვილი 1990-1991 სასწავლო წელს მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად ჩაირიცხა თბილისის უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში (კოლეჯში) დღის დასწრებული განყოფილების საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/83, 20.07.1990).

1992 წელს თბილისის უმაღლესი კომერციული კოლეჯის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კომერციის ინსტიტუტი (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №340, 19.03.1992 წ.).

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნებში ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების შედეგად დათუნა იაშაღაშვილი 1991 წელს გადაყვანილი იქნა I კურსიდან II კურსზე (ბრძანება №01-03/98, 01.07.1991); 1992 წელს - II კურსიდან III

კურსზე (ბრძანება №01-03/41, 29.06.1992) და 1993 წელს - III კურსიდან IV კურსზე (ბრძანება №01-03/42, 05.07.1993).

საარქივო მასალებში წარმოდგენილია თბილისის უმაღლესი კომერციული სასწავლებლის, შემდგომში თბილისის კომერციული ინსტიტუტის მიერ დათუნა იაშაღაშვილის სახელზე წარმოებული სააღრიცხვო ბარათების ასლები წლების მიხედვით. კერძოდ:

- 1991 წელი (*სავარაუდოდ უნდა იყოს 1990-91 სასწავლო წელი*) - კურსი I, სემესტრი I-II;
- 1991-1992 სასწავლო წელი - კურსი II, სემესტრი I;
- 1992-1993 სასწავლო წელი - კურსი III, I-II სემესტრი;
- 1993-1994 სასწავლო წელი - კურსი IV, სემესტრი I.

შენიშვნა: ერთ-ერთ სააღრიცხვო ბარათზე არ არის დაფიქსირებული სასწავლო წელი, კურსი და სემესტრი. წარმოდგენილი „სტუდენტის წარმატების წიგნაკიდან“ ჩანს, რომ ეს სააღრიცხვო ბარათი ასახავს II კურსის II სემესტრში შესწავლილ საგნებს. ვერ მოიძებნა IV კურსის II სემესტრის სააღრიცხვო ბარათი.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია სახელმწიფო საგამოცდო საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები (ოქმი №2, 9.06.1994; ოქმი №7, 15.06.1994; ოქმი №12, 22.06.1994), საიდანაც დასტურდება, რომ დათუნა იაშაღაშვილმა ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და დაიმსახურა დადებითი შეფასებები.

აღნიშნული ფაქტი ადასტურებს იმას, რომ დათუნა იაშაღაშვილს ათვისებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაიშვებოდა სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდებზე.

სახელმწიფო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიამ **1994 წლის 28 ივნისს** სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე დათუნა იაშაღაშვილს **მიენიჭა ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობა** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (*სახელმწიფო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიის ოქმი №16, 28.06.1994*).

თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტის რექტორის 1994 წლის 30 ივნისის №01-03/35 ბრძანებით სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის **1994 წლის 27 ივნისის** ოქმის (№16) საფუძველზე კომერციის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობის კურსდამთავრებულ დათუნა იაშაღაშვილს მიენიჭა **ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაცია** და მიეცა ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი.

დ. იაშაღაშვილის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულია, რომ „დათუნა შენგელის ძე იაშაღაშვილი 1990 წელს შევიდა და 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტი (კოლეჯი) სამრეწველო საქონლის კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაცია“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საკვალიფიკაციო სხდომის ოქმში დაფიქსირებული თარიღი (28.06.1994) და მინიჭებული კვალიფიკაცია „ეკონომისტ-

მენეჯერის სპეციალობა“ არ ემთხვევა ბრძანებაში და დიპლომში დაფიქსირებულ თარიღს (27.06.1994) და კვალიფიკაციას „ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაცია“.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ითხოვს წმოდგენილ დოკუმენტებში დაშვებული ხარვეზების გასწორებას. კერძოდ, ოქმის თარიღისა და მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანას.

დ. იაშაღაშვილმა დამატებით წარმოადგინა თბილისის ცენტრალური არქივის მიერ გაცემული საარქივო ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1990-1994 წლებში დათუნა იაშაღაშვილის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტები არქივში არ ინახება.

აქვე ავღნიშნავ, რომ საკვალიფიკაციო სხდომის ოქმში მინიჭებულ კვალიფიკაციაში და თარიღში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი. „ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობის“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაცია“. რაც შეეხება ბრძანებაში და დ. იაშაღაშვილის სახელზე გაცემულ დიპლომში დაფიქსირებულ თარიღს (27.06.1994) იგი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი სახელმწიფო გამოცდების საკვალიფიკაციო სხდომის დასკვნით ოქმთან (№16) და თარიღად უნდა დაფიქსირდეს 28.06.1994.

დათუნა იაშაღაშვილის მიერ შესწავლილი და გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ის ფაქტი, რომ იგი 1990 წელს ჩაირიცხა, შესაბამისი ბრძანებებით გადავიდა კურსიდან კურსზე და 1994 წლის ივნისში ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და მიენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმას, რომ მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 აკადემიურ წელს.

და ბოლოს, ვინაიდან, არ იძებნება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა და მის სახელზე წარმოებული სასწავლო ბარათი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ვერ შეძლებს დ. იაშაღაშვილის სახელზე აკადემიური ცნობის მომზადებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ყოფილი თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის (კოლეჯის) კომერციის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლით კომერციული საქმიანობის

მენეჯერის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. დათუნა იაშადაშვილი) სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის მიერ 1994 წლის 28 ივნისის დასკვნითი ოქმით (№16) „ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღი და ნომერი დარჩეს უცვლელი (№16, 28.06.1994);

2. ყოფილი თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის (კოლეჯის) კომერციის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლით კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობის 1994 წლის კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. დათუნა იაშადაშვილი) სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის მიერ დასკვნითი ოქმით (№16, 28.06.1994) მინიჭებული კვალიფიკაცია „ეკონომისტ-მენეჯერის სპეციალობა“ შეიცვალოს „ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით“;

3. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს აღნიშნულ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. [თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის \(კოლეჯის\) სახელმწიფო გამოცდების საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნითი ოქმი №16, 28.06.1994](#)) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში;

4. ყოფილი თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის (კოლეჯის) კომერციის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლით კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობის კურსდამთავრებულის დათუნა იაშადაშვილის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი. არ იძებნება სასწავლო ბარათი და საგანმანათლებლო პროგრამა. გამომდინარე აქედან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ვერ მოახდენს აკადემიური ცნობის მომზადებას.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი. ცვლილების პროექტი შეეხება ტურიზმის სკოლას და ISET-ის საკითხს. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი წინასწარ დაევზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ანგარიშები.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

დეკანმა, სხდომის თავმჯდომარემ თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ნაწილი აქტიურად მუშაობს, ხოლო ნაწილი კი არა. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მუშაობა უნდა გააქტიურდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ფუნქციონირებას აზრი ეკარგება. მან სურვილი გამოთქვა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მუშაობა უფრო გააქტიურდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება მათი გაუქმების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: პოლონეთის იოანე პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორ სლავომირ პარტიცკის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის, პროფ. ნ. ხადურის წერილი #7154/29, 10.11.2015 (რომელსაც თან ერთვის ამონაწერი კათედრის სხდომიდან), სადაც ანიშნულია, რომ მაკროეკონომიკის კათედრა შუამდგომლობას უწევს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე პოლონეთის იოანე პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორ სლავომირ პარტიცკის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობას უწევს პოლონეთის იოანე პავლე II-ის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორს, სლავომირ პარტიცკის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევას.

მოისმინეს: კავკასიის ბიზნესის სკოლის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნ ი. მშენიერაძის წერილი #7298/29, 25.11.2015, სადაც ის მოითხოვს „კავკასიის ბიზნეს სკოლის“ 2008 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო დავითაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალიდან. მისი ხარისხის კორექტირება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ნაცვლად მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“ მას უნდა მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. კავკასიის ბიზნეს სკოლის 2008 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო დავითაშვილს ნაცვლად კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი №40/08, 2.10.2008) მინიჭებული „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“ მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.“
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში (№40/08, 2.10.2008) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე

თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი

მ. ნაცვალაძე